ზურაბ გიგნაძე

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა

ვილნიუსის უნივერსიტეტი, ლიეტუვა

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როდესაც პირველად გავიგე Erasmus+-ის გაცვლითი პროგრამის შესახებ და სურვილი გამიჩნდა მონაწილეობა მიმეღო. როგორც კი სტუდენტი გავხდი, მაშინვე დავიწყე ამ მიზნისკენ სვლა და საბედნიეროდ კავკასიის უნივერსიტეტმა მომცა ეს არაჩვეულებრივი შანსი, წავსულიყავი და მესწავლა ერთი აკადემიური სემესტრით ვილნიუსის უნივერსიტეტში, ლიეტუვაში.

ჩემი უცხოეთში წასვლის მიზანი არა მარტო აკადემიურ, არამედ პიროვნულ და პროფესიულ ზრდასაც უკავშირდება. მუსიკისადმი დიდმა სიყვარულმაც ძალიან დიდი როლი ითამაშა ამ ყველაფერში, რადგან მინდოდა გავზრდილიყავი როგორც არტისტი და გამეცნო ჩემი მუსიკა უფრო მეტი ადამიანისთვის. იქ ყოფნისას საშუალება მომეცა მემღერა ლიეტუველი და სხვა უცხოელი ხალხის წინაშე.

ვილნიუსში ცხოვრება საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. ქალაქის მყუდრო ატმოსფერო, თავისი ლამაზი ქუჩებით შინაგანი სიმშვიდის მომტანი გახდა.

მიუხედავად მკაცრი ზამთრისა, თითოეულმა იქ გატარებულმა დღემ კურსელებთან, მეგობრებთან და საყვარელ ადამიანებთან, უდიდესი კვალი დატოვა ჩემს გულსა და გონებაში. ასევე იქ ყოფნისას დასვენების პერიოდში მომეცა შესაძლებლობა მემოგზაურა ევროპის სხვა ქვეყნებშიც. საქართველოში კი დაუვიწყარი მოგონებებით სავსე დავბრუნდი.

ამ პროგრამამ საშუალება მომცა მეტი გამეგო ჩემს დარგზე, მემუშავა პროექტებზე ტექნოლოგიების სფეროში განსწავლულ ადამიანებთან და პროფესორებთან ერთად, მივსულიყავი მიზნებთან უფრო ახლოს და რაც მთავარია მესწავლა დამოუკიდებელი ცხოვრება.

უზომოდ მადლობელი კავკასიის უნივერსიტეტის ამ მნიშვნელოვანი გამოცდილებისა და შანსის მოცემისთვის და, რა თქმა უნდა, ვილნიუსის უნივერსიტეტის, ვილნიუსის და საერთოდ ქვეყნის უამრავი მოგონებებისთვის.

შემიძლია თამამად ვთქვა, რომ Erasmus+ გაცვლითი პროგრამა - ეს არა მხოლოდ უცხოეთში სწავლის შესაძლებლობაა, არამედ ეს არის საჩუქარი პიროვნული, მიზნობრივი და კულტურული განვითარებისთვის.